№ 281
ოთხშაბათი, 29 დეკემბერი 1893

1877—1893

ივერია

№ 281
ოთხშაბათი, 29 დეკემბერი 1893

ბაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ბაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად:
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

„ИВЕРІЯ“
გამოვა 1894 წელსაც
ИДАВЕ ПРОГРАММИТ, КАГОРАК ВИНАД.
ვაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ТФИЛИСИ,
„ИВЕРІИС“ РЕДАКЦІЯС
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА 1894 ГОДЪ.
(Сорокъ девятый годъ изданія).

„КАВКАЗЪ“.

Редакторъ-издатель Ю. Н. МИЛЮТИНЪ.

Подписная цѣна:

	Городская.	*Иногородская.*	*Заграничная.*
Ян. 12 мѣсяцевъ	11 р. 50 к.	13 руб.	18 р. 40 к.
„ 11 „	11 „ — „	11 „	— „
„ 10 „	10 „ — „	10 „	— „
„ 9 „	9 „ — „	9 „	— „
„ 8 „	8 „ — „	8 „	— „
„ 7 „	7 „ — „	7 „	10 „
„ 6 „	6 „ — „	6 „	— „
„ 5 „	5 „ — „	5 „	— „
„ 4 мѣсяца	4 „ 50 „	4 „	6 „
„ 3 „	3 „ 50 „	3 „	— „
„ 2 „	2 „ 50 „	1 „ 75 к.	2 „
„ 1 мѣсяцъ	1 „ 50 „		

Подписка принимается съ перваго числа каждаго мѣсяца на всѣ сроки отъ одного до двѣнадцати мѣсяцевъ.

Желающіе подписаться съ разсрочкою вносятъ 3 р. при подпискѣ и по 1 р. къ первому числу каждаго послѣдующаго мѣсяца до погашенія всего причитающагося платежа.

Плата за объявленія (со строки петита или занимаемаго ею мѣста); **на послѣднихъ страницахъ**: съ мѣстныхъ объявленій (кавказскихъ)—6 коп., съ прочихъ—10 коп., за каждый разъ. **На первыхъ страницахъ** вдвое. За большія или многократныя объявленія по соглашенію. За разсылку особыхъ приложеній 8 рублей съ тысячи.

Подписка и объявленія принимаются въ конторѣ „КАВКАЗА“ Тифлисъ, Дворцовая улица, домъ Тифл. Двор. Зем. Банка.

კავკავის ქართულ სასწავლებელში განთავისუფლდა უმცროსის მასწავლებლის (ქალის) ადგილი. მსურველთ უნდა მიმართონ თხოვნით „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ გამგეობას. უმცროსს მასწავლებელს ეძლევა წლიური ჯამაგირი 300 მ., სახლი (ორი ოთახი), მოსამსახურე, შეშა, წყალი და სანათი. (3—2)

ტფილისი, 29 დეკემბერს

—

იმ ძირითად მიზეზთა შორის, რომელთა წყალობითაც ხშირდება ჩვენში მოუსვენლობა, უპირველესი ადგილი უჭირავს გვალვას. ქართველ-კახეთიდგან სჩივიან, რომ შემოდგომაზედ ჯეჯილი არ ამოვიდა, რადგანაც დათესვის შემდეგ დიდის ხნის განმავლობაში ერთი რიგიანი წვიმა არ მოხვედრია მინდვრებსაო და შშრალ დედამიწაში თესლი ჭია-დუამ ამოსწამა და წაახდინა. იმერეთში ბევრჯელ გამოზაფხულდება თუ არა, ერთბაშად დიდი გვალვა დაიწყება, რომელიც ხელს უშლის თავის დროზედ მიწის მოხვნას. ამის გამო სიმინდის თესვა იგვიანებს, ნაგვალევ მიწაზედ დაგვალული ჭირნახული მოდის, რომელსაც შუა ზაფხულის უწვიმობა, სიცხე და საშინელი აღმოსავლეთის ქარი სულ ანადგურებს. როგორც იმერეთში, ისე ამერეთში ჭაერმა და ჰავამ თითქო ნივრი შეიშალა: როდესაც მეურნეთათვის წვიმა საჭირო, მაშინ ხმელი დარი დგება, და როდესაც მშრალობაა—დიდი წვიმები მოდის ხოლმე. ბევრჯელ მშვენივრად საიმედოდ აბიბინებული სიმინდი სრულადა ხელ-ცარიელსა სტოვებს თავის პატრონს იმიტომ, რომ ტარიოს გაკეთების დროს ზეცა ერთ ცვარს წვიმასაც-კი იშურებს.

ამასთანავე ნიადვრები, შხაპუნა წვიმები და ქარიშხლები გახშირდა და ის ცბილი და ეუქუნა წვიმაკი, რომელიც ასე ახარებს მეურნეს, სული იშვათად მოდის ხოლმე ახლა. დიდნიადვრები ქართლ-კახეთისა და ძერეთის მთიან ადგილებში ბევრჯელ დიდს ზარალს აძლევს, შემუსვრილი ადგილები მიაქვს, ახდის და ამით ჭდუშავს სოფლის მუცელს.

ყოველისფე ამის მიზეზი უთავბოლოა და უანგარიშო ტყეების ჩეხაა. ტყეების გაჩეხა სინესტის ნაკლებულობას ჭბადავს და წვიმებსაც იმ ხასიათს აძლევს, რომლის გამ. ამ წვიმებით არავითარი სარგებლობა არა აქვს მეურნეობას უნოტიობისა გამო. ზოგიერთ ადგილი, რომელიც უწინ კარგსა და ულვს მოსავალს იძლეოდა, სულ უანგარო და მშრ მინდვრებად გადაიქცა.

ჯერ სხვა მიზეზებსაც რომ თავი დავანებოთ, მარტო ეს გარემოება გვაიძულებს, რომ დიდი ყურადღება მივაქციოთ ჩვენის მეურნეობის ტეხნიკის განკარგებაგაუკეთესებას. გვალვის გახშირესულ [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

რეს ვაგონები და თითონაც მშვიდობით გადარჩნენ.

*** ხაშური: კი ხანია, რაც ხაშურის რკინის გზის სადგურზედ არის დაარსებული აქაურ სარკინისგზო დეპოს მაგიერ წიგნთ-საცავი, რომელშიაც რუსულ წიგნებთან ერთად ქართული წიგნები და ქართული ჟურნალ-გაზეთებიც არის. რკინის გზაზედ მოსაამსახურე ხალხი სიამოვნებით დაიარება ამ წიგნთ საცავში წიგნების და ჟურნალ-გაზეთების საკითხავად და ამისთვის თვეში თითოეული იხდის ერთს აბაზსა. ვისურვებთ სულით და გულით ამ წიგნთ-საცავის საქმის წარმატებას.

*** ქვიშახეთი: (გორის მაზრა): ქვიშხეთში გაჩნდა ყალთმის მზგავსი ავად-მყოფობა, რომლითაც ბევრია ავად. კარგი იქნება, რომ ამ ავადმყოფობას ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს.

ქარელი: (გორის მაზრა): ქარელში საქონლის ავადმყოფობა გაჩნდა. გორის მაზრის ბეითალის თანამდებობის აღმსრულებელმა მოახდინა იმ ბოსლებში, სადაც ავადმყოფი პირუტყვები იყო დეზინფექცია, ავადმყოფი პირუტყვები კარგად მყოფებს მოაშორა და საქონლის ჭირი განელდა. იმედია, მალეც მოისპობა.

*** ახალგორი (დუშეთის მაზრა): ჩვენი სოფელი შუა-გულია მთელის ქსნის ხეობისა და კარგა მოძორებითაც არის, როგორც სამაზრო ქალაქს ისა რკინის [illegible] ქებს მეტი არა არის-რა. გვყავს ბოქაული, რომელიც მუდამ ახალგორში სცხოვრობს, გვაქვს სასოფლო სკოლა და ეს არის და ეს. აღარც ფერშალი ჩვენთვის, აღარც მკურნალი, არც ერთი და არც მეორე. კაცი რომ ციებისგან იყოს დაგდებული, ქინაქინას ვერ იშოვით. თუ იშოვით რომელსამე მედუქნესთან, უვარგისიც იქნება და მამა-სისხლადაც ეღირება. დუშეთში წასვლა ძნელია, ტფილისი შორს არის. მეტადრე ზამთრობითა ვართ შეწუხებული, რადგან გზებია მეტად საძნელოდ და საწყინოდ სავალი. გვპირდებიან სულ, ფერშალიც დაინშნება, მკურნალიც გეყოლებათ, აფთიაქიც გაიმართება და ავადმყოფთა თავშესაფარიცაო, მაგრამ სად არის. ველით და ამოდენმა ლოდინმა დაგვაბერა. ლამის ისე მოგვვიდეს, რომ სინამ პეტრე მოვიდა პავლეს ტყავი გააძრესო. ღმერთმა ჰქმნას, რომ ამ ახალმა წელმა მაინც მოგვიტანოს რამ სასიამოვნო ამბავი.

*** გორი: აქაურ საოსტატო სემინარიის ახლად-დაარსებულ წმინდა ნინოს ეკლესიაში ხალხი ბლომად დაიარება წირვა-ლოცვაზედ, რომელიც სლავიანურს ენაზედ სრულდება. ხანდახან ქართულს გალობასაც გამოურევენ ხოლმე, ესე, სამს კვირაში ერთხელ. სასულიერო სასწავლებელში-კი წირვა-ლოცვაზედ თითქმის ნახევარი საგალობლები ქართულად სრულდება. შეგირდები სასიამოვნოდ გალობენ „ღვთის-მშობელო ქალწულოს“, „მრწამს ერთი ღმერთი“-ს და სხვათა. გალობის მასწავლებელი მუყაითად და ერთგულად ეკიდება ქართულ საეკლესიო გალობის სწავლების საქმეს.

გორში აგროკვებენ ამ ეამად შეწირულებას სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ. ხელის მოწერა შეიძლება ბ-ნ არსენ კალანდაძის წიგნის მაღაზიაში. იმედია, გორის მაზრის შეგნებული ქართველობაც არ დაიშურებს თავის წვლილს ამ საკეთილო და საშვილიშვილო საქმისათვის.

*** წიფა: წიფის სადგურზედ 26 დეკემბერს დილით ადრე მოხდა შემდეგი უბედურება: როდესაც საქონლის მატარებელი გაჩერებული იყო სადგურზედ, ამ დროს ერთი მოხუცი კონდუქტორი, სახელდობრ, მერაბ თოფურია ვაგონებ ქვეშ გამოდიოდა, რომ მემაშინისთვის საჭირო ცნობა მიეცა. თურმე ამ დროს მემაშინემ ვაგონებ-მომბმული ორთქლმავალით მატარებელი ცოტა წინ წაწია. საწყალს თოფურიას მოასწრო ვაგონის თვლებმა და მარცხენა ფეხის წვივზედ გადაუარა ვაგონმა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის სამკურნალოში გაჰგზავნეს საქიმოდ.

*** ქვემო-ფლევი (გორის მაზრა): ზოფლის ქვემო-ფლევიდგან აცნობეს გორის მაზრის სამმართველოს, რომ იქ ხოლერის მსგავსი ავადმყოფობა გაჩნდაო და რამდენიმე კაციც გარდაიცვალაო. გორის მაზრის სამმართველომ გაჰგზავნა ხსენებულ სოფელში ფერშალი ბ-ნი ვლ. ცხვედაძე, რომელმაც გამოიკვლია ეს ავადმყოფობა [illegible] ოდ არი[illegible] ფეი ღონის ძიებ იქმნა მოლებული ამ ავად-მყოფობის მოსასპობლად.

დამაკვირდი

—

გეშინოდეს ღვთისა და ამის არ-მოშიშრთ.

პიერემონტი

**

ყოველი დღე პაწია ცხოვრებაა; ყოველი გამოფიზიზლება პაწია დაბადებაა; ყოველი დიდა პაწია საფლავია და ყოველი ძალი პაწია სიკვდილია.

შოპენჰაუერი

**

პირველი ნაბიჯი, ბარბაროსობიდგან განთლებისაკენ გადადგმა, ის არის, რომ სიტყვა სჭესი დედათა მამაკაცსაკით პატივცემულ შეიქმნას.

კანინგი

ამაოდ მსხვერპლი

(გადმოკეთებული)

მიწა თრთის, იძვრის, ცა უმატებს ჭექას და ქუხილს,
მთელი ქვეყანა შიშითა ძრწის, აწვია ბნელი!
დაჰღალადებს ცით ადამიანს—თვის შემცოდე შვილს—
შემოიმქმედის ხმა, დიდი ღმერთი, ცოდვათგან მხსნელი:
„ტყვილად მიშენებ მრავალთ ტ ძართ სადიდებელად,
ოქროთი, ვერცხლით ალამაზებ მათს ზღუდეებსა;
ამაოდ მიამეკ სუნნელ გუნდრუკს განუწყვეტელად,
ლამპრებს მაშუქებ და მიგალობ ძილის პირებსა!
აბა რად მინდა მე ტაძარნი, შენგან გებულნი,
უსულო ქვები მიწისაგან ამოცემულნი?
მე არ შევქმენი მიწა, წყალი, ზღვა-ბიცა მთები?
ჩემმა მარჯვენამ არ დაჰსაჯაკის ზღუდეები?
თუ-კი ვინებებ—ერთსა რძანებ—საკვეველებით
მოგეევლინებით კაცად მეის სასწაულებით!
კვლავ დაუსაბამ სივრცეს ჩემქმნი ერთისა სიტყვითი,
დაუსაბამის სივრცის გარდ, ცის სივრცეს იქით!..
რად მინდა ოქრო? ბიწის გულში,
იმის ჯუიდმულში,
მრავალ წლოვანთა, უოროვანთა სალ-კლეთა გულში,
მე არ ვადინე ღურველად, ვით ზმის წყალი,
ცეცხლით ნადული მრავალ გვარი ბანი და თვალი?
იგი საუნჯე იქ სჩქეფს, ჭალავს დატკვებული,
მისი ბორკილი არს უმსკრალი დაბნელებული!..
ეგ თქვენი ოქრო, თქვენი ვერცხლი, სიმდიდრის ბული,
არს იმა ზღვისა მხოლოდ ცვარ, გადმოკარგული...
რამ მინდა კმევა? განა ვერ სჭვრეტ ველნი და მთები,
ამწვანებულნი, ყოველის მხრით ჩემსა დიდებას
თაყვანსა სცემენ? დაცვარულნი შიგ ყვავილები
საამოდ, სანატრს მე მიკმეფენ [illegible]
[illegible] ძიხთი ლაჯარს? ჰე, მნათობნი, სხივთა მომფენნი,
მე არ აღვანთე ესდენ ტურფად, აღურიცხველად
და ბნელის ღამის მანათობლად, ვით ნაპრწკალნი,
მე არ განვფანტე ცის სივრცეზე ჩემს სადიდებლად?..
რად მინდა თქვენი მე გალობა, თქვენგან დიდება,
ოდესაც გუნდნი ანგელოსთა ჩემს ძლიერებას
შემოჰგალობენ და იმათი ქებათა-ქება
აღემატება მადლ-სიმით თქვენსა დიდებას?
როს კლდის წყარონი, მდინარენი, ზღვა-ოკეანენი
სრულად გულ-წრფელად თვის გალობას ცაში მასმენენ,
და ჭიკჭიკითა ფრინველები, სანატრ-ხმიანნი
შემომხარიან, ხმა-შეწყობილ ჰანგით მალხენენ?!..
არა! ეგ მსხვერპლი ამაოა, ღარიბი არი!..
მაგრამ არს მსხვერპლი უფრო წმიდა და მადლიანი,
მსხვერპლი უკვდავი, საყვარელი, დაუვიწყარი...
მას თუ შემწირავს, მას მომიძღვნის ადამიანი—
მაშინ მივიღებ მე მისს ზვარაკს გულ-გასაბარად,
ჩემს გულში მივსცემ ნავთ საყუდელს იმ დღიდგან მარად:
მე მსურს უწმიდეს ოქროისა კაცს ჰქონდეს გული,
შრომა-ჯაფის დროს წინ უძღოდეს გულ-მოდგინება,
იყოს მოძმისა ძმა ერთგული, ძმა მოყვარული,
და სიმართლესა ვერ უკლავდეს ვერარა ენებ!
რომ სიყვარულის, სასოების, ძმათა შენდობის
გვირგვინი წმიდა, კით ნაკურთხი, თავს უშვენებდეს
და ხმა ერისა, გამომთქმელი უტყუარ გრძნობის,
მომავლის გულში თანაგრძნობით ქნდაკს უგებდეს!..“

გრ. აბაშიძე

წიგნთ-საცავი და სამკითხველო ტფილისის სადგურზედ.

ამ სამის წლის წინად ტფილისში, რკინის გზის დეპოს სადგურში, ამავე სადგურის უფროსის თაოსნობით დაარსებულ იქმნა რუსული წიგნთ-საცავი სამკითხველოთურთ; ერთის წლის შემდეგ ქართველმა მოხელეებმაც მოინდომეს ამავე წიგნთ-საცავთან ქართულის განყოფილების დაარსება. სთხოვეს ვისაც ჯერ არს ნება-რთვა და შეუდგენენ საქმეს. მალე სიტყვა საქმეი აქციეს: არ დაიშურეს სიტყვა საქმეი აქციეს: არ დაიშურეს თავიანთი წვლილი და წიგნებით თუ ფულით ყველამ აღმოაჩინა დახმარება. მოთავენი ამ საქმისა დღესაც არ აკლებენ თავიანთს ყურადღებას და დიდად მეცადინეობენ მის განკარგვებას. მადლობის ღირსია განსაკუთრებით ბ-ნი გაგუა, რომელიც ირიცხება დამფუძნებელ წევრად და რომლის მეცადინეობითაც საწევრო ფული, შემოსული შემოაქვთ, ხმარდება ქართულ წიგნების მეკითხველებს ქართულ ნაწილის რკინის გზის სადგურის უბანში. მოგვდის ყოველი გაზეთი და ჟურნალი, რომელიც არსებობს ქართულს ენაზედ. მომავალ წლისათვის მოგვივა „მოამბეც“, რომელიც უკვე დავიკვეთეთ.

წევრი წიგნთ-საცავისა პ. ნასიძე

წერილი რედაქციის მიმართ

—

გიგზავნით ამასთანავე 31 მ. ბათუმში შეკრებილს იმ ვვირგვინისთვის, რომელსაც ჩვენის თხოვნით ალექსანდრე ყაზიბეგის კუბოს შესამკობად უნდა შეეკვეთონათ. თუ გადარჩა რამ ამ ფულს, ალ. ყაზიბეგის ფონდს მიუმატეთ, ან სალიტერატურაროს.

თქვენი პატივსმცემელი ნ. პეტრიაშვილი

გთხოვთ დაუთმოთ მცირე ადგილი თქვენს გაზეთისა, ამ ჩემს პატარა წერილს.

ვისაც-კი გაუცვნია კოსტანტინეპოლში მცირე ხნით მაინც ალექსანდრე ივანეს ძე გარაყანიძე, არ შეიძლება არ დაჰხსომებოდეს მისი კეთილი გული და კაცთ-მოყვარეობა. ამ კაცს თავის მოძმესათვის არა შურს-რა და თუ აქვს რამე, მზადაა გაუზიაროს ყველას, ვინც-კი მის ყურადღებას დაიმსახურებს. მეტადრე საზოგადო და საკეთილო საქმისათვის არა შურს-რა.

ამ რამდენისამე დღის წინად, ჩამოვარდა ლაპარაკი შოთა რუსთაველის ძეგლის აგების შესახებ; ვუთხარით, რომ მიელო, შოთა, როგორც ყველასაგან პატივცემულს და აღმოგვეჩინა მცირე რამ შემწეობა აქედამაც. დიდის კმაყოფილებით დაგვთანხმდა და პირველად იმან დასდო ერთი თუმანი, და თანაც დიდი შემწეობა აღმოგვიჩინა. რამდენისამე დღის განმავლობაში მოვაგროვეთ ას ოც-და-თექვსმეტი მანეთი და ორი აბაზი (136 მ. 40 კ.) აქაურ ქართველთა შორის, რომლებმაც დიდის სიხარულით მიიღეს ჩვენი თხოვნა, და, შეძლების დაგვიდგა შემოწირეს ეს ზემოხსენებული ფული, შოთა რუსთაველის ძეგლის ფონდისათვის. ამ ფულს ამასთანავე ვგზავნი თქვენს რედაქციაში დანიშნულებისამებრ გარდასაცემად და უმორჩილესად გთხოვთ დაჰბეჭდოთ ამ წერილთან ერთად, ქვემორე ამისა შემწირველთა სიაც.

აი სიაც: პატრი სტეფანე გიორგიძე (წინამძღვარია აქაურ ქართველთა კათოლიკეების მონასტრისა) 17 მან. 40 კ., პეტრე ივანეს ძე ბაკაკოვი 15 მ., პეტრე ივანეს ძე ბეფანოვი 10 მ., იოსეს ივანეს ძე ბეფანოვი 10 მ., პავლე სვიმონის ძე გოზალოვი 10 მ., ანტონ სვიმონის ძე წინამძღვრიშვილი 10 მ., ალექსანდრე გარაყანიძე და იასე რაქველი 25 მ., ვიქტორ ლენინი 8 მ. 70 კ., ლუკა სტეფანეს ძე თუმანიშვილი 5 მ., სიმონ სტეფანეს ძე [illegible]შვილი 5 [illegible] ძე ახობაძე 5 მ., ლადი ბანძელი 3 მ. 30 კ., სკენდერ ეფენდი ჩიკლაძე 3 მ., ალექსანდრე სვიმონისძე ფილოშვილი 3 მ., იაკობ პეტრეს ძე თუმანიშვილი 3 მ. და იაკობ პეტრეს ძე აბულაძე 3 მ. სულ 136 მ. 40 კ.

იასე რაქველი

შემოწირულობა

—

გიგზავნით სამს თუმანს და შვიდს მან., შეკრებილს სიღნაღში შოთა რუსთველის ძეგლისთვის, და გთხოვთ ეს ფული გარდასცეთ კეთილშობილებისაებრ. გიგზავნით აგრეთვე შემოწირულთა სიასაც დასაბეჭდად:

პაატა 1 მ., ვანო ნასიძე 1 მ., ი. ქიტაიშვილი 3 მან., ნიკოლოზ გაბრიელიშვილი 3 მ., თ. დ. ანდრონიკაშვილი 1 მ., ნიკოლოზ ტერ სტეფანოზი 1 მ., ალექსანდრე ამირასნოვი 1 მ., დ. ზაფდასტანოვი 1 მ., ვ. მაღლიოვსკი 1 მ., მ. ფეფიკ-ადამოვი 1 მ., ი. ანდრონიკაშვილი 2 მან., ვასო ბეგიაშვილი 1 მ., გიგო ქუმარიტაშვილი 1 მ., ჯაფარ ბეგოვი 1 მ., თ. ს. ჯორჯაძე 1 მ., № 1 მ., წულუკა ბრაკელოვი 1 მ., ს. ქოჩორანცი 1 მ., დიმიტრი ხამშიაშვილი 1 მ., ზაქარია ბოიკაური 1 მ., ტატო ბეკლეული 1 მ., პაველ იაშვილი 1 მ., მიხეილ რეხიდაძე 1 მ., თ. ს. თუმანოვი 1 მ., სოსიკო ზაფდასტანოვი 1 მ., ალ. ფომიაძე 1 მ., ეკაბრის მამასახლისი ალექსი ნინაბაშვილი 1 მ., ალ. ბოსტანეი 1 მ., გ. ტეფაძე 1 მ., გ. ბაიკაძე 1 მ.

ივანე დიმიტრის ძე ქიტაიშვილი

გიგზავნით ეარსის ქალთველთა შორის შეკრებილს ოსეთიშეტ მანეთს „ეკონრიის“ № 271 №-ში მოხსენებულს იგორეოვის ქვრეის, ნინო ფორთქიფანიძის ასულისთვის გარდასაცემად (ალექსანდრეს ქუჩა, სახლი კეტრეანის, № 58).

ერეკლე ბაქრაძე

გიგზავნით ბატალბაშისაში შეკრე-

ბილ ცხრა მან. შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგებად. ეი ს

სთხოვა, გამყარეთ ცოლთანაო.

— რა მიზეზით თხოულობ მაგასაო? ჰკითხა ეპისკოპოსმა.

უპასუხა:

— ჩემი ცოლი აგერ ექვსი თვეა საბანაოდ არის წასული თბილს წყალზედ და იქ კიდევ ერთს თვეს უნდა დარჩენა. გუშინ იმისგან წერილი მივიღე, რომელშიაც, სხვათა შორის, სწერია: „ძვირფასო მეგობარო, აგერ მეოც-და-ათედ ვიარავ გულში ნეპტუნს*) და ვეხვევიო“. მე ამ სირცხვილს ვერ ავიტანა თუ ვიღაც ნეპტუნია, ის უყვარს, გულში იკრავს და ეხვევა, დე იმასთანავე დარჩეს, მე-კი იმასთან ცხოვრება არ შემიძლიან.

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ

ვარდის ნიადაგის განაყოვრება. ამისათვის „Lion horticole“ შემდეგს საშუალებას გვირჩევს. ბელს ტომარაში წკვარტლი ჩაჭყარეთ და ასე ტომრასავე რამდენისამე დღეთ წყალთან საცსე თაბახში ჩასდეთ. როდესაც წყალი მეჭქს, ყავის ფერს დაიჭერს, კარდის ბეჭმს კარშემო მაწა ოიშეთ და ეს წყალი დასასხმ. წყალი კარგა ბლომად უნდა დაესხეს. ეს საშუალება ნაცადია და ასე მოწეული ბუჩქის ფოთოლს მშვენიერი შეკა-მწკანე ფერი ედება, ლერა უფრო კარგად იზრდება და საუტხოო კარდს იპამს.

ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

25 დეკემბერი.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. მინისტრთა კომიტეტმა განიხილა შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება შესახებ ერის გამოკვებისა მოუსავლობის დროს. ასეულ წელს ეს საქმე ჩინებულათ შეუსრულებიათ. ხელმწიფე იმპერატორმა საკუთარის ხელით დაწერა ეურნალს „მეტათ კარგათ და სანუგეშოთ გაკეთებულა საქმე“.

ᲙᲐᲚᲔᲠᲜᲝ. გუშინ მეფის დეკრეტით სიცილიაში გამოცხადდა საფრთხილო წესი. გენერალი მორრა დანიშნულ იქმნა საგანგებო კომისიონერად და განუსაზღვრელი უფლებანი მიეწიკა.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. „Roersen Courier“ იუწყება, რომ გუშინ გერმანიისა და რუსეთს შორის დელეგატებმა ტარიფი დაწერილებამდე შეიმუშავეს. საკავრო ხელ-შეკრულობას ერთ კვირაზედ აღრე არ მოაწერენ ხელსა.

26 დეკემბერი.

ᲙᲐᲚᲙᲐᲞᲘᲖᲔᲗᲐ. მანიფესტონტებსა და ჯარს შორის შებრძოლება მოხდა; მოკლულ იქმნა 10 კაცი და რამდენიმე დაიჭრა.

ᲙᲐᲚᲔᲠᲜᲝ. მარინეოს ჯარს ხალხი დაეცა. დიდის ხნის ამაოდ ცდის შემდეგ ჯარი იძულებულ იქმნა ხალხისთვის ოფეები დაეშინა. აჯანყებულთა შორის მოკლულ იქმნა 8 კაცი, დაიჭრა თორმეტი; ჯარში 12 კაცი მსუბუქათ დაიჭრა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. სიერრა-ლეონში საფრანგეთის ჯარი დაეცა ბრიტანიის ექსპედიციას, რომელიც გაგზავნილ იქმნა სოფასების წინააღმდეგ. საფრანგეთის ჯარს ბრიტანიის ექსპედიცია ადგილობრივ მცხოვრებთა ჯარი ეგონა; ბრძოლა გამწვავდა მოკლულ იქმნენ: კაპიტანი ლენდრი, ადგილობრივ პოლიციის 26 კაცი, რამდენიმე აფიცერი და ჯარის კაცი ვესტინჟის პოლკისა: ტყვეთ წაიყვანეს საფრანგეთის ჯარის ერთი აფიცერი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. სიერა-ლეონიდგან მოსული ამბავი ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებს შორის მომხდარ შებრძოლების შესახებ მართლდება. 23 დეკემბერს განთიადისას ფრანგები დაეცნენ ინგლისელებს ვარინიესთან, ინგლისელების სამფლობელოში; ინგლისელებმაც პასუხი გასცეს. დიდის ხნის ბრძოლის შემდეგ ფრანგები უკუ იქცნენ; ინგლისელები ვარინიეს დარჩნენ. საფრანგეთის ჯარის უფროსმა ლეიტენანტმა მორარმა განაცხადა, ინგლისელთა ჯარი სოფასები მეგონაო. ფრანგების მხრივ მოკლულ იქმნა 10 მხროლელი; ინგლისელთა მხრივ მოკლულ იქმნა 10 კაცი და დაიჭრა 18.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. მინისტრთა საბჭოს ეუწყა სიერრა-ლეონეში მომხდარი ამბავი. თუ ინგლისელთა მიერ მოწერილი ამბავი მართალი აღმოჩნდა, საფრანგეთის მთავრობა ჯეროვან პასუხს გასცემს ინგლისსა. გუშინ საღამოს ცეცხლი წაეკიდა ოპერის საწყობებს; დაიწვა 36 ოპერის დეკორაცია.

27 დეკემბერი

ᲠᲝᲛᲘ. გუშინ აქაურს თეატრებში გაავრცელეს შემაძრწუნებელის შინაარსის დაბეჭდილი ფურცლები; რამდენიმე იქ მყოფი ანარქისტი შეპყრობილ იქმნა. გუშინდელმა დღემ ისე გაიარა პალერმოში, რომ განსაცვიფრებელი ამბავი არა მოხდარა-რა. სიცილიის პროვინციებში წესიერება აღდგენილ იქმნა ცოტაოდენი მღეოვარებაა კიდევ სირაკუზისა, ტრაპანისა და კატანიის ზოგიერთს სოფლებში.

28 დეკემბერი

ᲠᲝᲛᲘ. გუშინ გარიბალდის ხიდთან შეიკრიბა მუშების ბრბო და ორის წითელ ბაირაღით გასწია ქალაქის შუაგულისკენ. პოლიციამ ბრბოს ხიდის გასავლი შეუკრა. მაშინ ზოგიერთმა ბრბოში მყოფმა სროლა დაიწყო. პოლიციამ ბაირაღები წაართვა და ბრბო გაფანტა. ორი ანარხისტი მუშათაგნი დაატუსაღეს ამ შემთხვევას მკვიდრნი გულგრილად მოექცნენ.

პალერმოს, მესსინის და კალტანიზეტში გენერალმა მარრიმ დაადგინა სამი სამხედრო სამოსამართლო. სამხედრო სამართლით გასჯილ იქმნება ყველა ის, ვინც დანაშაურობას ჩაიდენს საერო, მანიფესტაციისა, უწესობების და ქვეყნის აშლის დროს.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ

Გ—ᲚᲘ Ი. Შ—ᲫᲔ. თქვენი წერილი დაიბეჭდება.

*) რომელნი ზღვათა და მდინარეთ. ღმერთსა უწოდებენ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 იანვრიდგან 1894 წ. **Ძ. ᲑᲐᲜᲯᲐᲡ** ზარაბის ქუჩაზედ გამართული იქმნება **ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ „Сѣверные Номера“**. სასტუმროს ექმნება 25 კარგი ნომერი, ბუფეტი და ჩინებული საქმელები; ფასი ზომიერია. თვიურად ფასები ძლიერ დაკლებულია.

კ. ქეთევან შუბლაძისა.

(2—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 28 იანვარს 1894 წ. დღისით 12 საათ. ქ. ტფილისს, ბანკის დარბაზში, ფრეიღინის ქუჩაზედ, საკუთარ სახლებში მოხდება საჯარო ვაჭრობა განუშორებლად, თთ. ია და ზაზა დონიკეს ძეთ ანდრონიკაშვილების უძრავი მამული, რომელიც მდებარეობას ტფილისის გუბერ. სიღნაღის მაზრაში ს. ზაიარში და შეიკავს სახნავს და საძოვარ მიწებს ზომით 518 დ. 330 ოთხ-კუთხ საქ. თავნი ვალი 9838 მ. 29 კ. შემოსატანი გადასახადი 1099 მ. 48 კ, სულ 10937 მ. 77 კ. ვაჭრობა დაიწყობა 10937 მ. 77 კ. ნედოიმკების და სერო გარდასახადის დამატებით. თავნი ვალის გადახდა შეიძლება ამავე ბანკის გირავნობის ფურცლებით, მანეთზედ მანეთი, დარქმეულ ფასად. შეიძლება ბანკის თანხმობით ვალი გადატანილი იქმნას მსყიდველზედ; დროზედ შემოსატანი გადასახადი და სხვა გარდასახადი ფულად უნდა იყოს შემოტანილი. თუ ვინცობაა ვაჭრობა არშესდგა 28 იანვარს 1894 წ. მეორე და უკანასკნელი ვადა ვაჭრობისა დაინიშნება 11 თებერვალს 1894 წ. თანხმად § 16 ბანკის წესდებისა მსესხებელს ნება აქვს შემოიტანოს გარდასახადი სარგებელი და ჯარიმა დროზედ ვალის გადაუხდელობის გამო და ყოველგვარი ხარჯი, რომელიც ბანკს მოუვა მამულის გაყიდვამდე.

(3—1)

ვაუქმებ რწმუნების ქაღალდს, ჩემმიერ მოცემულს ჩემის შვილის ლეონიდ ივანეს ძის კუცურის სახელზედ დამტკიცებულს ქ. ბათუმის ნოტარიუსის ზაიკინის კანტორაში 22 მარტს 1893 წ. № 683 და არა ვითარს პასუხის გებას არ ვკისრულობ, თუ ჩემს შვილს უსესხია ვისგანმე ფული და ამის გამო მიუცია ვისთვისმე თავის ხელმოწერილი სავალდებულო ქაღალდი, რომელიც შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც ჩემმიერ მიცემულ რწმუნებულ ქაღალდის გაუქმებამდე ისე შემდეგშიაც.

ბათუმის 2-რე გილდის ვაჭარი ივანე გიორგის ძე კუცური

(3—3)

ᲙᲐᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ
Ა. Ი. ᲝᲠᲑᲔᲚᲘ

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

ᲥᲘᲠᲐ-ᲣᲫᲛᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—141)

ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲓᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲜᲘ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲐᲚᲝ
ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲜᲐᲒᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡᲐ

(ᲙᲣᲙᲘᲐᲨᲘ, ᲕᲐᲠᲐᲜᲪᲝᲕᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ)

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით რიგებენ:

ბ. ს. ნაგასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

Გ. Მ. ᲩᲐᲥᲠᲐᲜᲘ, 9—10½ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. ბ. რუდგოგლეკი, 10½—11½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ᲞᲐ ᲨᲠᲝᲢᲡᲔᲒᲘᲩ, 11½—12½ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი 12½—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

ს. ᲞᲐ ᲙᲐᲠᲐᲑᲔᲢᲘᲐᲜᲪᲐ, 1—1½ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობით მიიღებენ:

ი. ᲒᲐ. ᲩᲔᲣᲠᲒᲝᲒᲚᲘᲫᲐ, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

Ს. ᲒᲣᲠᲯᲝ, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. Ს. ᲜᲐᲒᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ, 7—7½ საათამდის.

Ე. Ი. ᲤᲐᲠᲜᲪᲣᲡᲐ, 7—7½ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათა შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი შედიცინისა ნაგასარდიანი.

Открыта Подписка на 1894 годъ
НА ГАЗЕТУ
„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“
(одиннадцатый годъ изданія).

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ
съ доставкой и пересылкой

На 12 мѣсяцевъ	10 р. — к.	На 6 мѣсяцевъ	6 р. — к.
„ 11 „	9 „ 50 „	„ 5 „	5 „ 25 „
„ 10 „	8 „ 75 „	„ 4 „	4 „ 75 „
„ 9 „	8 „ — „	„ 3 „	3 „ 50 „
„ 8 „	7 „ 25 „	„ 2 „	2 „ 75 „
„ 7 „	6 „ 50 „	„ 1 „	1 „ 50 „

За границу: на годъ—17 р., на полгода 9 р., на три мѣсяца—5 р. (Подписа принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца).

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р.

Городская подписка принимается **въ конторѣ редакціи: Головинскій проспектъ, 12.** Гг. иногородные обращаются по слѣдующему адресу: **Тифлисъ, въ редакцію газеты „Новое Обозрѣніе“** (3—3)

Въ тифлисѣ открыта подписка на 1894 годъ
На армянскую ежедневкую политико-литературную газету
„НОРЪ-ДАРЪ“
(Одинадцатый годъ изданія).

Газета „НОРЪ-ДАРЪ“ въ 1894 году будетъ выходить по прежней программѣ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: съ пересылкою и доставкою по Россійской имперіи на годъ—10 руб., на полгода – 6 руб., на три мѣсяца—3 руб. 50 коп. за границу на годъ 40 франковъ.

Подписка принимается только съ 1-го числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

ПОДПИСКА принимается исключительно въ конторѣ газеты „НОРЪ-ДАРЪ“, въ Тифлисѣ, на Пушкинской улицѣ, въ домѣ № 14, противъ сквера.

ОБЪЯВЛЕНІЯ принимаются на всѣхъ языкахъ по умеренной платѣ, въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты и въ Москвѣ, въ центральной конторѣ объявленій Л. и Э. Метцль и К°., Мясницкая, д. Спиридонова.

Адресъ: Тифлисъ, въ редакцію «Норъ-Даръ».

Редакторъ-издатель **Спандаръ Спандарянъ.**

(3—3)



ახლად მოგონილი მაშინა „ᲡᲚᲐᲕᲐ“ (დიდება), რომელიც უბრალ სწყვავ ნავთით მოგეაეთ მოძრაობაში.

ᲢᲣᲠᲑᲘᲜᲔᲑᲘ

წუალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2 დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ 10, рота, 1 6.

Доз. ценз. Тифлисъ, 28-го Декабря 1893 г. ᲡᲢᲐᲛᲑᲐ Მ. ᲫᲐᲠᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲞᲐᲪᲐᲪᲘᲐ